ქართული გაზეთი

სეკტემბრის 23 დღესა 1821 წელსა.

No. 37

...1952 წ.
183 ... 1948 წ.

უცხოს ქვეყნის ამბავნი:

ლივორნოდამ. 13. ივნისს. მრავალნი ოსმალთ ლაშქარნი, რომელნიც მოდიოდნენ გემებით აზიიდამ ზოგნი დაიჭირეს და ზოგნი დაანთქეს ბერძნების გემებმა.— ბერძნებმა ახლო ხანს კიდევ დაიჭირეს ერთი ოსმალის სომალდი 32 ზარბაზნიანი.—

ოდესსიდამ 17. ივნისს. კონსტანტინოპოლიდამ მოდის ამბავები, რომ იქაურნი ურიანი ყოველთვის ცდილობენ ადგილების ჩვენებასა, სადაც დამალულან ბერძნები, რომ თვითონ მორჩნენ სატანჯველს სიკვდილსა მუსულმანთაგან, და მაშინვე აჩვენებენ ოსმალებსა.— ურიებს აქვსთ ამაში სამი რიგი სარგებელი: პირველად თვითეულის ბერძნისათვს იღებენ ისინი დიდს ფასსა იმისის ქონებიდამ; მეორედ ამ ღონით დიახ მალე იშორებენ იგინი მრავალთა თვსთა მასესხებელთა; და მესამედ თავისის ერთგულობით ქრისტიანეთ დევნაში მიიღებენ ოსმალთაგან მწყალობლობასა.

რაც ოსმალთ ხომალდები დაინთქნენ ზღვაში, იმ ჟამიდამ დაიწყო კონსტანტინოპოლში საზარელი ხოცვა.— ორი ბერძნის ეპისკოპოსი და ოთხი მღვდელი ახლო ხანს დაარჩვეს და 150 ქალაქური წინამძღვრული ბერძენთ გვარისა თვითონ ოსმალურს ყურუმზე მისცნენ საქვეყნოს მოედანზე გასაწმენდელად უწყალოს ხალხსა.—

ვალახიიდამ მოდის ამბავები, რომ ეს ქვეყანა იმყოფება დიდად საზარელს მდგომარეობაში. ბუხარესტს და სხვას ქალაქებში თუმცა არის მშვიდობა, მაგრამ ყოველივე ვაჭრობა სრულად დაყენებულია.— სოფლებში და საკუთრად იმ ადგილებში, სადაც გაუვლიათ ლაშქართა, ორისავე მხრისათა სულ აკლებულია და აოხრებული.— რაც დარჩომიათ ბერძნების დაუწყობელთ ჯართა, აოხრებენ ოსმალის მეწინავენი ჯარნი.— ბუხარესტიდამ ტემესვის გზამდინ არც ერთი სახლი არ არის დარჩომილი.— ყოველნივე მცხოვრებნი არიან დაფანტულნი, და მინდვრები თითქმის მრთელს ვალახიაში დარჩომილან ხარაბად.—

პატრასსოდამ. 2. მაისს. ოსმალთ სრუ-ლად დააქციეს პატრასსოს ქალაქი.— 1400 სახლიდამ დარჩომილია რამდენიმე ქოხი ჲ სადგომები კონსულებისთჳს დარჩომილი.— ხოცა, დაწვა ჲ აკლება გაგრძელდებოდა მრ-თელს ერთს თვეს.—

ვენიდამ. 15. ივნისს. ღერმანშტატი-დამ იწერებიან, რომ იუსილანტი 3000 ანუ 4000 კაცითა თავის ერთგულებითა მო-სულა ჩვენს სამძღვარზედ.— ის ყოფილა ერთს კარანთინის სახლში ჲ რამდენსამე დღეს მოელოდნენ ტრანსილვანიის უპირვეს ქალაქში.— აქაური მმართებელობა არ უშ-ლის ყოველთა უიარაღოთა ღეტერისტთა, რო-მელნიც არიან გამოქცეულნი ოსმალთ მძლა-ვრობისაგან, შემოსვლასა ჩვენს ქვეყნებში; მაგრამ მტაცებელთა ჲ მოუსვენართ არნა-უტთა, ალბანთა ჲ ვლახთა არა აქვსთ ნება შემოსვლისა.— გამოქცეული ბერძნები ამ-ბობენ, რომ ოსმალთ მოუოხრებიათ მთელი ვალახია ხმლითა ჲ ცეცხლითა.— მრთელი ათასები მცხოვრებნი დაუხოციათ ჲ დაუტ-ყვევებიათ.— წოდებული საღმრთოდ მხედ-რობად 1000 კაცი თითქმის სულ გაუწყ-ვეტიათ.— ესენი ყოფილან გამორჩეულ-ნი ბერძენთ ყმარწვილნი კაცნი, რომელნიც ყოფილან სასწავლებელად უცხოს ქვეყნის უნივერსიტეტებში.—

იქიდამვე. 12. ივლისს. სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი რომ ოსმალთ ზღვის ჯარის ნაწილს მისცემია დიდი დაკლება.— ერთს ხომალდზედ დასხმულან ბერძნების გემები.— ბრძოლა ყოფილა მრთელს დღეს ჲ ბოლოს როს ბერძნებს გაუმარჯვნიათ.— მას უ-კან ამ გემების უფროსს მოუგროვებია ხო-მალდები ჲ ბერძნებისაგან დევნით შესუ-ლა დარდანელში.

სალონიკიდამ. 25. მაისს. ოთხმა ან ხუთმა ბერძნების სამხედრო ხომალდმა აქა-ურს ზღვის პირში დაიჭირა ოთხი ოსმალის ხომალდი, რომელთაგან ორი მიდიოდა ალექ-სანდრიას ჲ ორნი მოდიოდნენ იზმირიდამ ჲ კანეიდამ.— ერთი ხომალდი, რომელიც მიდიოდა ალექსანდრიას ძლიერად წინააღუდ-გა ბერძენთა, იმაში იყო ასამდინ ოსმალი მიმავალი მექქას სალოცავად.— იმათ ჰქონ-დათ მრავალი თეთრი.— იმათმა კაპიტან-მა რომ ნახა აღარ შეიძლებოდა გაქცევა შეაყენა ხომალდი თხელზედ ჲ ცეცხლი წაუ-კიდა; ამასობაში იქ მსხდომნი თავიანთის თეთრით ჩასხდნენ ლოდკებში ჲ გავიდნენ ნაპირს.— მაგრამ ბერძნები მოეწივნენ იმათ ჲ მოუხდათ ომი, რომელშიაც მოკლეს ათი ოსმალი ჲ სხვანი შემოვიდნენ ჩვენს ქალაქში.—

დუნაის პირიდამ. 6. ივლისსა. თრიე-სტიდამ მოდის ამბავი რომ ბერძნების ხო-მალდებსა არა თუ ოდენ უპირავსთ არხი-პელაგი, არამედ გაუვლიათ დარდანელიც.— ამბობენ კიდევ, ბერძნები რომ გამოსულან ეპიროზის მხარეს, ტულიათ იერემით ჲ და-უმტვრევიათ ორივე ციხე ამ ნაპირისა ახა-ლი ჲ ძველი, რომელთაგან პირველი არის არხიპელაგის გამოსავალთან, ჲ მეორე ვიწ-როს შესავალში.—

ამბავი, რომ ეგვიპტის ფაშას უარი უთქვამს ოსმალის მმართებელობისათჳს ყოვ-

ლის შემწეობისა, დამტკიცდა.— ამასაც ამბობენ, რომ ამ ფაშას ელჩებში და იმ კაცთ შორის, რომელთაც აქვსთ დიდი შემლება ბერძნების კუნძულებზედ, ჰსჩანს დიდი თანხმობა.— მაჰმედ ფაშა ისევე მოიქცევა როგორც ალი ფაშა.

კორფუდამ. 1. ივლისს. ბერძნების ზღვის ჯარის ადმირალმა, რომელიცდგას დარდანელის მახლობლად, გაგზავნა არხიპელაგის კუნძულებში და მორეაში ამბავი გამარჯვებისა, რომელიც მოსდომია მას ოსმალის ხომალდებზედ.— ოსმალის ხომალდები ყოფილან 19, ამათ გაუვლიათ დარდანელი და შესულან მიტილენის ნავთსადგურში, და ერთი დიდი ხომალდი დამდგარა შესავალში.— როდესაც ბერძნების გემები 35, შეერთებულან მტერზედ დასასხმელად, მაშინ ბერძნების ადმირალი შებმია შესავალში მდგომს ხომალდს.— ოსმალოს რომ უნახავსთ საშიშროება, ისიც უკან წაუყვანებიათ და ამითი გაჰქცნიათ გზა.— მაშინ ბერძენნი შებმულან და ორისავე მხრიდამ უომიათ დიდის განფიცხებით.— ბოლოს დროს ოსმალის ხომალდები დამარცხებულან და იმათში მსხდომნი ზოგნი დახოცილან მახვილითა და ზოგნი დანთქმულან ზღვაში.— ბერძნების ადმირალს კაცების დასაზოგავად ცეცხლი წაუკიდებია ოსმალთ დიდის ხომალდისათვს, რომელშიაც მსხდომნი გასულან ნაპირს და მასუკან შეპყრობილნი დანებებიან წინააღუდგომელად.—

ზანტედამ. 10. ივნისსა. მრავალნი იდრიოტელნი გემნი, მოსულნი ისპანიიდამ, დატვირთულნი ტყვია წამლითა, მიდიან მორეაში.— თვითონ ამერიკანელთაც შეუკრავსთ პირობა ბერძნებთან რომ უზიდონ იმათ ტყვია წამალი.—

ახლა დამტკიცდა, რომ ყოველნივე ოსმალნი გამოსულან პატრასიდამ, იმათ ნება მიეცათ ეგვიპტეში წასვლისა.—

როგორც ამბობენ თესალონიკე დაუნებებიათ ბერძნებისა; და ყოველნივე გამაგრებულნი ადგილნი ლივადიის, ატტიკას და ფოკიდას ერთი მეორის შემდგომად გაუტეხიათ.— ალი ფაშამ მიიღო ახლა თავის უფალი გზა საქმეებისა, რომელნიც ოსმალთ დაჰკარგეს იანინას. ახლა დიიწყო იმან საქმობა წინააღმდგომობისა და ოსმალოებს ამლევს დიდს დაკლებას.

გამოცხადებანი:

უზენაესის საქართველოს მმართებლობის ისპექტორის ექსპედიციისაგან იცხადების ცირკულიითა.

1. რომ ყოველი მებატონე მამულებისა, რომელნიც არიან საქართველოში, უნდა გამოცხადდეს ამ ექსპედიციაში მისაღებელად იმ საბუთებისა, რომელნიც ბოლონისას მამულებზედ იმათ გამორთმევიათ და რომელნიც საკუთრის საქმეების გამო შემოტანილან.— მიღების ვადა ამ საბუთებისა არ დაინიშნება, არამედ თვითეულმა უნდა იზრუნოს თავისის საკუთრისათვს, და ამასთანავე მოხვდეც არის რომ წაიღონ საბუთები თავისის მამულებისა, რომელსაც მოითხოვს იმათ უფალი შემლემერი, გამიჯვნის დროს და გაყოფის დროს მტკიცის სინორებითა მებატონეების მამულებისა საკელმწიფოთაგან ბორჩალოს დისტანციაში, ამისთვს რომ დავაები ამ შემთხვევაში არმოხდეს.

2. რომ ვაიცემა იჯარით ცხენების

შენახვა ყაზახის მეშჳდე პოსტების სტანციებზედ; ჭირველი ჭალისა, გორისა, ორგორეჲნისა და სურამისა; მეორედ ტფილისის უეზდში ტფილისისა და სოღანლუღისა.— ამ სტანციებზედ უნდა იყოს ცხენები გორის უეზდში 35 ამდენითვე კაცითა, და ტფილისის უეზდში 23. ცხენი ამდენისავე კაცითა. ექსპედიციამ მოსურნეთ მოწოდებისათჳს ჰყო ჯეროვანი გარიგება საქართველოში და ამ გაზეთითაც ითხოვს თუ ვინმე აპირებდეს ამ იჯარის აღებას, გამოცხადდეს კმასაყოფელის ტირაოებით შერიგებისათჳს და კონტრაქტის შეკვრისათჳს პირველს ალაგას გორის უეზდის სუდში და მეორეს ალაგას უზენაესის საქართველოს მმართველობის საზინის ექსპედიციაში.— ვადები ამ ვაჭრობისათჳს დანიშნულნი არიან რო-გორც პირველისათჳს აგრეთვე მეორის ზ-დისათჳს, 28, 29 და 30. სეკტემბ-თვეს.

3. საქართველო - იმერეთის სინოდის კანტორისაგან იცხადების, რომ ამ წლის დასრულებასთან გაიცემიან იჯარით ავკლესით ბაღები, სახელდობრივ: ორი ბაღი კრწანისში თარხანაოვთაგან დარჩომილი, ერთი გარეთუბანს სათბილელო და მეორე სეიდაბათში საკათალიკოსო. ვისაც ჰსურდეს ამ ბაღების აღება იჯარით, შეუძლიან გამოცხადდეს ვაჭრობისათჳს სინოდის კანტორასა შინა ამ სეკტემბრის 28, და მომავალის ოკდომბრის 5. და 12. რიცხვს.—

ვლადიმირესკო წასულა თავისის ჯარით პეტემბზედ, გურტდარლამისკენ და გზაზედ ურთიერთის ომტკისა და სხვათა ცხენები, რომელიც შეხვდნიან.—

---

სესასწევებლი ცნობა დათესისათჳს ქუვისა და საზამთროსა.

ვისაც უნდა მოჰყვანა კარგის ნესვებისა, იმან არ უნდა დათესოს კიტრის მახლობლად: რადგანაც შეტყობილია მრავალის გამოცდილებით, რომ კიტრის ყვავილის თეს- [illegible] გამონასკულს ნესვსა, გამოუყვანს სახიას.

ესევე შემცნეული არის საზამთროზედაც, თუ იმის მახლობლად სთესია გოგრა, მაშინ იმისის მახლობლობით ტოგრა შექნება ზოგჯერმე უკეთესი, მაგრამ საზამთრო დაჰკარგავს თავის ტკბილ გემოსა,— და შექნება წყლიანი.—